

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №161/ნ

2019 წლის 8 აგვისტო

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის №3024 კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ნ ბრძანებაში (30/12/2014 წ., www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.022.016898) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-3 მუხლით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების:

**ა) პირველი მუხლის:**

ა.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სამართლებრივი აქტებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ბრძანებებითა და ამ დებულებით.“;

ა.ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ცენტრის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0178, გმირი კურსანტების ქ. №4.“;

**ბ) მე-2 მუხლის:**

ბ.ა) პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში (შემდგომში – სამინისტრო) დასაქმებულ პირთა პროფესიული განვითარება.“;

ბ.ბ) მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ – „რ“ ქვეპუნქტები:

„პ) ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამებით დაინტერესებულ პირთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. მათ, შორის სერტიფიცირება.

ჟ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მიზნით, პროფესიულ-ტექნიკური ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

რ) ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობა.“;

**ბ.გ) მე-3 პუნქტის:**



**ბ.გ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) ამზადებს და ავრცელებს რეკომენდაციებსა და გზამკვლევებს დაინტერესებული პირებისათვის.“;

**ბ.გ.ბ) „ქ“ ქვეპუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ქ) აცხადებს კონკურსებს, მათ შორის, დამსახურებული მასწავლებლის, წლის საუკეთესო მასწავლებლისა და დირექტორის გამოვლენის მიზნით.“;

**ბ.გ.გ) „ხ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჯ-ჰ“ ქვეპუნქტები:**

„ჯ) შეიმუშავებს ან/და ახორციელებს სოციალურ მუშაკთა პროფესიული განვითარების პროგრამებს.

ჰ) ახორციელებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების რეგისტრაციას.“.

## **მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა და  
სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

